ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №631748

ნომერი: AR1122466

თარიღი : 05.04.2013

გაცემის თარიღი : 16.05.2013

გაცნობის თარიღი : 14.01.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ბაქტერიოფაგის ღობესა, და საპროექტო გზას შორის ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა ჭოხონელიძე პ/ნ 01017014488
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 53ა ბ. 12

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ფუნქციური ზონის ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საჭიროა დააკონკრეტოთ და დაასაბუთოთ თქვენი მოთხოვნა, თუ რა მიზნით გსურთ მოცემული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.008) სარეკრეაციო ზონა 1–ის საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2–ით ცვლილება – მიუთითოთ საპროექტო ობიექტის ფუნქცია (რის განხორციელებასაც გეგმავთ სამომავლოდ). ამასთან, თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია „ფოტოსურათები pdf ფაილის“ გრაფაში ატვირთულია მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა ტერიტორიის ამსახველი ფოტოსურათების ნაცვლად. აგრეთვე, საჭიროა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა ზემოაღნიშნულის განხორციელების თაობაზე, ანდა შესაძლებელია განცხადებაში მისი დაფიქსირება თანაგანმცხადებლად. სურვილის შემთხვევაში ასევე, შეგიძლიათ წარმოადგინოთ საპროექტო ობიექტის ესკიზური ვარიანტი.

ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, სამსახურს მიეცემა შესაძლებლობა მოცემული საკითხი განსახილველად გადააგზავნოს “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” სხდომაზე განსახილველად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.